

მართლმადიდებელი სერბი ექიმი აბორტისა და ჩასახვის საინააღმდეგო საშუალებების შესახებ



სტოიან ადაშევიჩი

მეან-გინეკოლოგი სტოიან ადაშევიჩი პირველი სერბი ექიმია, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა არის მკვდერობა, რომლის პასუხისმგებლობასაც თანაბრად ინანიებენ ბავშვის დედა და ექიმი, რომელიც ატარებს ოპერაციას. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა მისი გამოკვლევა, სტატიების კრებული აბორტის შესახებ – „სიცოცხლის სინძინდე“. ქვემოთ მოტანილი საუბარი ექიმ ადაშევიჩთან, რომელიც გამოაქვეყნა სერბურმა ჟურნალმა „მართლმადიდებლობამ“, შემადრწუნებელია თავისი გუდახდილობითა და შინაარსით. ამ ინტერვიუს ყველაზე შესაფერისი განსაზღვრება, ადბათ, არის აღსარება, სახადხო მონანიება.

– როდის მიხვდით, რომ როდესაც ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას ახდენდით, ამით ადამიანს კვავდით?

– მე ექიმი ვარ, კარგად ვაცნობიერებ, რა არაადამიანური საქმეები მაქვს ჩადენილი; მე მოვარე ვარ დავამონწმო, გავანათრო, გავაფრთხილო ადამიანები, რომ ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა სხვა არაფერია, თუ არა დაუბადებელი, უმწეო ბავშვის მკვდერობა. ჩემი, როგორც ექიმი გინეკოლოგის მოვარეობებში შედიოდა სახედმწიფოს მიერ ნებადართული აბორტებიც. მაშინ არ ვიცოდი, რომ მკვდერობას ჩავდიოდი, მაგრამ ახლა ვაცნობიერებ, რა დიდია ჩემი დანაშაული ღვთისა და ადამიანების წინაშე. უნივერსიტეტში მასწავრიდნენ, რომ ბავშვი სიცოცხრეს იწყებს დაბადების შემდეგ, ადამიანად იქცევა პირველი ტირილის შემდეგ; მანამდე ის მხოლოდ დედის შინაგანი ორგანოების ნაწილია, ისეთი, როგორცაა ღვიძლი,

თირკმელები, ედენტა.

მე თითქმის **62 000 აბორტი** გავაკეთე. საკუთარი ხედებით გავანადგურე მთელი ქაღაქის მოსახლეობა. ბერგრადში მრავალი საავადმყოფო და კლინიკაა, სადაც აბორტები კეთდება. ოთხმოციანი წლების ბოლოს დაიწყო უდრებაგერის გამოყენება, რამაც საშინელი აღმოჩენები მომიტანა. დავინახე ჩვირი, დავინახე მისი გურის ძგერა, მოძრაობა, პირის გაღება. ბავშვები, ორსულობის უფრო მოგვიანო პერიოდებში, ხედის თითს წოვდნენ, გრძნობდნენ და განიცდიდნენ ემოციებს, ბგერითი ტარდის რხევის გახშირებაზე რეაგირებდნენ საკუთარი მოძრაობების აჩქარებით. და წარმოიდგინეთ, საკმარისია მხოლოდ ოთხი-ხუთი წუთი (ჩვეულებრივ ამდენ ხანს გრძედდება აბორტი), რომ მოკლა ეს პატარა ადამიანი.

– როდის შეწყვეტეთ ოპერაციები ორსულობის შესაჩერებლად?



– იმის გახსენებისას, რაც უნდა მოგიტხროთ, გური მტკივა და სისხლში იწურება. მაგრამ, როდესაც საშინელ საგნებზე ვდაპარაკობთ, საჭირო არაა ვეცადოთ, რომ ისინი დამაზად და კეთილშობილურად გამოიყურებოდნენ. ამგვარად, მე ვაკეთებდი დაახლოებით ოთხნახევარი თვის ორსულობის ხედოვნურად შეწყვეტის ოპერაციას. ოპერაციის დროს, რომლის დეტალების აღწერა მე ძნეორის გარეშე არ შემიძლია, გავაცნობიერე, რომ მკვდერი ვარ. მორიგი აბორტი, რომელიც უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი, რუტინური ოპერაცია, ჩემთვის კოშმარად იქცა.

მე ჯერ ბავშვის ხედი ამოვიღე, რომელიც იოლიან კომპრესზე მოხვდა.

იოდმა ნერვული დაბოლოების გაღიზიანება გამოიწვია და პატარა ხერი კონვულსიურად ათრთოდა. შემდეგი მოძრაობით ბავშვის ფეხი ამოვიღე, მაგრამ ისევ იგივე გამეორდა. ადრე ამგვარი არაფერი დამმართნია. მე შევეცადე ინსტრუმენტით ამელო ბავშვის გური და ვიგრძენი, როგორ განაგრძობდა ჩემს ხედვებში ცემას, უფრო ნედა და ნედა, ვიდრე არ გაჩერდა.

მე გავაცნობიერე, რომ მკვდერობა ჩავიდინე, ადამიანი მოვკადი. ქარი სისხლისგან იცდებოდა, მის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა. როცვა დავიწყე: „უფადო, დამეხმარე მის გადარჩენაში და მე დამსაჯე!“ ამის მერე აღარასოდეს გამიკეთებია ამგვარი ოპერაციები. გაიჩვევა, რომ ჩემი ახარი ცოდნა ემთხვევა მართლმადიდებელი ეკლესიის აზრს, რომ ადამიანის სიცოცხლე იწყება მისი ჩასახვის მომენტიდან. ორსულობის შეწყვეტა უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე ჩვეულებრივი მკვდერობა, – დედის მუცელში მყოფი პატარა, უდანაშაურო ადამიანი ხომ სრულიად დაუცველია.

– იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ ემბრიონებს ოპერაციის შემდეგ, სავადღებულო არ არის მოკლური ბავშვის დედისგან ნებართვის აღება. რა ედით ამ (მოკლურ) ბავშვებს?

– ადამიანებს იშვიათად აინტერესებთ, რა ემართებათ ამ ემბრიონებს ოპერაციის შემდეგ. ჩვენს ქვეყანაში არავინ აქვეყნებს ასეთ ინფორმაციას. ჩვეულებრივ, ყველა ემბრიონი განიხილება როგორც ოპერაციის შემდგომი ნარჩენები. მათ აწყობენ შავ პორიეთიღენის ტომრებში და აგდებენ სხვა ოპერაციების შედეგად დარჩენილ ორგანოებთან ერთად. შემდგომ მათ წვავენ.

ჩვენი საზოგადოება ვადღებურია, უზრუნველყოს ბავშვების სამედლიცინო, ეთიკური და იურიდიური დაცვა.

ბავშვს იგივე უფრებები უნდა ჰქონდეს, როგორც სრულწლოვანებს აქვთ. ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა საზოგადოების ყველა წევრთან მიმართებით.



– თუ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სერბეთში ყოველწლიურად გავრცელებული აბორტების შესახებ?

ზუსტი სტატისტიკის არსებობა ადრეა შეუძლებელია. ზოგი მონაცემის მიხედვით ყოველწლიურად 120 000 აბორტი კეთდება, სხვების მიხედვით ეს რიცხვი 420 000 აჭარბებს. ჩემი მონაცემებით, ყოველ დაბადებულ ბავშვზე დაახლოებით 25 აბორტი მოდის.

– როგორია თქვენი აზრი ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებებზე?

– ორსულობის ტესტები აჩვენებენ, რომ იმ ქალებში, რომლებიც ე.წ. „სპირალებს“ იყენებენ, უფრო ხშირად ხდება ჩასახვა, მაგრამ „სპირადი“ ემბრიონს არ უშვებს საშვილოსნოში და აქედან გამომდინარე, ის კვდება ჩასახვიდან დაახლოებით ერთ კვირაში. იგივე ხდება ჩასახვის სანინაალმდეგო აბებთან დაკავშირებითაც: ისინი ხერხ უშრიან ემბრიონის ნორმალურ განვითარებას, ნერ-ნერა კრავენ მას.

ბევრი ქალი ჯერ კიდევ უმეცრებაშია, მათ ამ საკითხზე მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული შეხედულება იციან. როდესმე გინახავთ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, ე.წ. ქართა ჟურნალებში, გადაცემებში მართალი ინფორმაცია აბორტებზე, ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებებზე და ხეროვნურ განაყოფიერებაზე?

– როგორია თქვენი აზრი საშვილოსნოს გარე ხეროვნურ განაყოფიერებაზე?

– მე ჩამიტარებია ამგვარი ოპერაციები. ხეროვნური განაყოფიერება მიუღებდად მიმაჩნია. ჩვეულებრივ, ხდება ათიდან ოცამდე ემბრიონის განაყოფიერება, არჩევენ ყველაზე სიცოცხლისუნარიანს, დანარჩენებს

30 კრავენ.

martlmadidebloba.ge